



**ჯაქტი**



**გენდერული დეზინფორმაცია -  
მეხასიათებლები, ტექტიკა და ექოსტოვის მეთოდები**

**დეზინფორმაცია**



## გენდერული დეზინფორმაცია

გენდერული დეზინფორმაცია იქცა პოლიტიკურად ან სოციალურად აქტიური ქალების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტად, რაც, ძირითადად, ონლაინ სივრცეში ვლინდება. ქალები ძალიან ხშირად ხდებიან ყალბი და არაზუსტი ინფორმაციის სამიზნედ, რაც ორიენტირებულია მათ დისკრედიტაციაზე, დაშინებაზე, დაკნინებასა და გაჩუმებაზე.

## გენდერული დეზინფორმაციის მახასიათებლები:

- **გენდერული სტერეოტიპების/მცდარი წარმოდგენების გავრცელება** - ქალისთვის გენდერული როლების მიკუთვნება (სექსიზმი)
- **გენდერული თანასწორობის იდეის ხელყოფა** - მაგ., ფემინიზმის ან ქალთა უფლებების დაცვის, ტრადიციული ოჯახური ღირებულებების საფრთხედ წარმოჩენა;
- **ძალადობის მსხვერპლი ქალების დადანაშაულების ნარატივები** - მსხვერპლის მიმართ სტიგმის გაძლიერება და მსხვერპლთა დადანაშაულება, მაგ., ქალები, პროვოცირებენ ძალადობას, ან იმსახურებენ ძალადობას მათი ქცევის, ჩაცმულობის თუ ქმედებების გამო;
- **ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხის მნიშვნელობის და სერიოზულობის დაკნინება:** რაც ხელს უწყობს მსხვერპლის მხრიდან ღუმილს და დახმარების ძიებისგან თავის შეკავებას და ისეთი სტერეოტიპების გაძლიერებას, რომელთა თანახმად პირადი საკითხი არ უნდა გამჟღავნდეს;
- **მავნე ქცევის ნორმალიზება:** გენდერული დეზინფორმაცია ახდენს მავნე ქცევების (ტოქსიკური მასკულინობა, აგრესია და დომინირება) ნორმალიზებას, რაც უფრო მეტად ამკვიდრებს უთანასწორობას და დისკრიმინაციის კულტურას.

# გენდერული დეზინფორმაციის ყველაზე გავრცელებული ტაქტიკა:

## ანტიფემინიზმი/მიზოგინია – თავდასხმები ქალებზე და ქალთა უფლებადამცველ ორგანიზაციებზე

**მაგალითი:** ონლაინ კამპანიის წარმართვა, რომელიც ყალბ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცდილობს ქალთა უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების დადანაშაულებას ისეთი პოლიტიკის და მოქმედებების ხელშეწყობაში, რაც თითქოს ანგრევს ოჯახებს და ახალისებს ქალებს, დატოვონ ქმრები.

**ეს ტაქტიკა** მიზნად ისახავს ფემინისტური ორგანიზაციების დელეგიტიმაციას და ქალთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული ადვოკატირების რადიკალურ და დესტრუქციულ ქმედებად წარმოჩენას.

### სექსისუკრი გარემოლოგია, რომელსაც ქალების მიმართ იყენებენ



## გარეგნული მახასიათებლების ნიშნით ქალის დაცინვა/შეურაცხყოფა

**მაგალითი:** სოციალურ ქსელში აქტივისტების, პოლიტიკოსების, ჟურნალისტების ან ძალადობაგამოვლილი ქალების დაცინვა ან გაკიცხვა სხეულის, გარეგნობის, საუბრის მანერის, ჩაცმულობის, ქცევის გამო და მათზე ყალბი წარმოდგენის შექმნა, თითქოს ისინი თავად პროვოცირებენ ძალადობას.

**ადნიშნული ტაქტიკით** ხდება ქალების მიმართ სანდოობის შემცირება, საზოგადოებაში არსებული გამოწვევებიდან ან ოჯახში ძალადობის სერიოზული პრობლემიდან და მოძალადის პასუხისმგებლობიდან ყურადღების გადატანა ქალის გარეგნულ მახასიათებლებზე ან ქცევაზე და მისი დარცხვენა.

## **ქალების ინტელექტუალური შესაძლებლობების დაკნინება**

**მაგალითი:** სოციალურ პრობლემებზე ან ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ხმამაღლა და პრინციპულად მოსაუბრე ქალი აქტივისტების, ჟურნალისტების და პოლიტიკოსების შესახებ ისეთი სურათების თუ სტატიების გავრცელება, სადაც ხდება მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების და კომპეტენტურობის ეჭვქვეშ დაყენება და სხვადასხვა იარაღის მიკვრა: „სახედაკარგული ისტერიკა“, „ემოციურად არასტაბილური“, „ალქაჯი“ და ა.შ.

ეს ტაქტიკა მიზნად ისახავს პრობლემებსა და გამოწვევებზე მოსაუბრე აქტიური ქალების დისკრედიტაციას, მათ მიერ წამოჭრილი საკითხის გაუფასურებას და მისგან ყურადღების გადატანას.

**მსგავსი ტაქტიკა** ემსახურება ისეთი სტერეოტიპების განმტკიცებას, თითქოს ქალების ემოციურობა, პროტესტი ან გაბრაზება არ შეესაბამება „ქალის ხატს“ და რომ ქალები ნაკლებად გაწონასწორებულები და რაციონალურები არიან და მხოლოდ ემოციებით ხელმძღვანელობენ.

## **მორალური/ზნეობრივი კრიტერიუმებით თავდასხმა**

**მაგალითი:** ქალთა უფლებადამცველი აქტივისტების დადანიშნულება „ამორალური“ დასავლური ღირებულებების პოპულარიზებაში.

ეს ტაქტიკა ემსახურება საზოგადოებისთვის იმის მტკიცებას, რომ თითქოს ისინი რყვნიან ქართულ საზოგადოებას და ანგრევენ მის მორალურ ქსოვილს რეპროდუქციული უფლებების დაცვით და გენდერული თანასწორობის ადვოკატირებით.

# როგორ ამოვიცნოთ გენდერული დეზინფორმაცია



**წყაროს შემოწმება:** ყოველთვის გადაამოწმეთ წყაროს სანდოობა. შემოწმეთ, ეყრდნობა თუ არა ინფორმაცია სანდო წყაროს. ფრთხილად იყავით დეზინფორმაციის გავრცელებით ცნობილი წყაროების მიმართ. თუ სტატიაში მითითებულია მხოლოდ ანონიმური წყარო, ან წყარო საერთოდ არ არის მითითებული, მას სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ.

**გადაამოწმეთ ინფორმაცია:** გადაამოწმეთ ინფორმაცია მრავალი დამოუკიდებელი წყაროდან. თუ ინფორმაცია არ არის დადასტურებული სხვა სანდო წყაროებით, ეს შეიძლება იყოს დეზინფორმაცია.

**სანდო ფაქტების შემოწმებელი ვებსაიტები (ფაქტ-ჩეკერები):**

**მაზომა სიპართლე!**

გადაამოწმე ინფორმაცია საზოგადოებისთვის ცნობილ სანდო ფაქტების შემოწმებელ ვებსაიტებზე, მაგ. FactCheck Georgia <https://factcheck.ge/ka>; Media Checker [www.mediachecker.ge](http://www.mediachecker.ge); გენდერ ბარომეტრი <https://genderbarometer.ge/>; მითების დეტექტორი <https://mythdetector.ge/en/>, ინფორმაციის სიზუსტის დასადასტურებლად და ყალბი ინფორმაციის დასადგენად.

**შემოწმე ავტორი:** იცით, ვინ არის სტატიის ავტორი? შეგიძლიათ მისი წინა ნაშრომების პოვნა? პატივსაცემ და სანდო ჟურნალისტს ყოველთვის აქვს წარსული პროფესიული მიღწევების სია. ასევე გადაამოწმეთ, არსებობს კი ეს ჟურნალისტი? ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ავტორი ინფორმაციას ყალბი სახელით აქვეყნებს.

**ინფორმაციის ენა და ტონი:** შეისწავლეთ ინფორმაციის ენა და ტონი. დეზინფორმაცია ხშირად შეიცავს მიკერძოებულ ან სიძულვილის ენას, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის ემოციებით მანიპულირებას და არა ფაქტების წარმოჩენას.

**ფრთხილად იყავით სურათების, ვიდეოების ან აუდიოკლიპების მიმართ:**



ხშირად ციფრული პროდუქტი შეიძლება იყოს რედაქტირებული ან კონტექსტიდან ამოღებული ყალბი ინფორმაციის გასავრცელებლად. ზოგჯერ ყალბი ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებენ სხვა ქვეყნებში გადაღებულ ფოტოებს, ან - წლების წინ გადაღებულ, სრულიად განსხვავებულ კონტექსტში გადაღებულ ფოტოს ან ვიდეომასალას. ფოტოს შემოწმება შესაძლოა ცალკეულ ვებგვერდზე, მაგალითად, TinEye <https://tineye.com>

**ინფორმაციის გავრცელების მოტივები:** დეზინფორმაცია ხშირად ემსახურება კონკრეტულ დღის წესრიგს, როგორცაა პოლიტიკური ან იდეოლოგიური მიზნები.

**გავრცელებული ინფორმაციის დრო:** ყურადღება მიაქციეთ ინფორმაციის გავრცელების დროს. დეზინფორმაცია შეიძლება ემთხვეოდეს მნიშვნელოვან მოვლენებს ან დისკუსიებს, რათა გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე. ზოგჯერ ამოტივტივდება ხოლმე წლების წინ დაწერილი სტატია ან ვიდეო, რომელსაც იყენებენ კონტექსტიდან ამოგლეჯილი სახით, თავდაპირველი ან შეცვლილი ფორმით. ყოველთვის შეამოწმეთ პუბლიკაციის თარიღი.

## სასარგებლო წყაროები:

### გაიდლაინების და ანგარიშების ჩამონათვალი:

- მედიის განვითარების ფონდი, [გენდერული დეზინფორმაცია](#), 2023
- მედიის განვითარების ფონდი, [სექსისტური ენა და გენდერული დეზინფორმაცია](#)
- მედიის განვითარების ფონდი, [გზამკვლევი ჟურნალისტიკებისთვის](#)
- IREX, [მედიაინფორმაცია](#), ტრენერის სახელმძღვანელო
- მედიის განვითარების ფონდი, [ანტიგენდერული და ანტილგბტქ მობილიზებასაქართველოში](#), 2023
- საქართველოს რეფორმების ასოციაცია, [ანტიდასავლური დეზინფორმაციასაქართველოში](#)
- [ინსტრუმენტები](#), რომელიც ინფორმაციის გადამოწმებაში დაგეხმარებათ
- NEXT.on.ge; [როგორ ამოვიცნოთ ფოტო-მანიპულაცია](#)
- Heinrich Boll, [What is Gender Disinformation](#)
- EU Disinfo Lab, [Gender-Based Disinformation: Advancing Our Understanding and Response](#)
- EU Disinfo Lab, [Gender-based disinformation: theory, examples, and need for regulation](#)

### ვებგვერდების ჩამონათვალი:

- მითების დეტექტორი: <https://mythdetector.ge/ka/>
- ფაქტ-ჩეკერი: <https://www.factcheck.ge/ka>
- გენდერ-ბარომეტრი: <https://genderbarometer.ge/>

### ვიდეო:

- დეზინფორმაცია: <https://vimeo.com/675684434>
- 64 project: [როგორ ებრძვიან აქტიურ ქალებს](#)

საინფორმაციო ბროშურა მომზადდა  
ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიმდინარე პროექტის  
„ნარატივების შეცვლა: გენდერული დეზინფორმაციის  
წინააღმდეგ ბრძოლა ინფორმირებული,  
მგრძობიარე საზოგადოებისა და  
ეთიკური რეგიონული მედიისთვის“ ფარგლებში

საინფორმაციო ბროშურის შედგენაზე მუშაობდა:  
ეკატერინე გამახარია

საკონტაქტო ინფორმაცია:  
ქ. ქუთაისი, მაგალობლიშვილის ქ. 6  
ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2  
[womansukhumi@gmail.com](mailto:womansukhumi@gmail.com)  
[fundsukhunitbilisi@gmail.com](mailto:fundsukhunitbilisi@gmail.com)  
[www.fsokhumi.ge](http://www.fsokhumi.ge)  
[www.facebook.com/fsokhumi](https://www.facebook.com/fsokhumi)  
<https://www.facebook.com/WFSTbilisiOffice>  
<https://sosfsokhumi.ge/>